დადგენილება:**დ-19. 19262103**
თარიღი:**29/07/2026**

დადგენილება №10

„გარდაბნის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირებისთვის საჭირო წესისა და ფორმების დამტკიცების შესახებ " გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1
შეტანილ იქნეს ცვლილება „გარდაბნის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირებისთვის საჭირო წესისა და ფორმების დამტკიცების შესახებ" გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №26 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 20/06/2022, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.161.016525), კერძოდ:

1. დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 2
საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი" 51^3, 53^3, 55-ე, 55^2, 55^6, 77^1, 82^5 (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 119^1, 134^1, 135-ე, 146^1, 148-ე, 150-ე, 150^1, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 151^2, 152-ე, 152^2, 152^5-152^9 მუხლებით, 153^3 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^4, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 159-ე, 159^1, 166^2, მუხლებით, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი" 31-ე-35-ე მუხლების, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე, 43-ე მუხლის პირველი ნაწილის, 46-ე მუხლითა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-80 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების უფლება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მიენიჭოს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სამსახურს.";

2. დადგენილებას დაემატოს 4^2 მუხლი შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 4^2
საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი" 103-ე, 103^1 და 103^2 მუხლებით გათვალისწინებულ

სამართალდარღვევებზე რეაგირების უფლება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მიენიჭოს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „სუფთა ქალაქი”.”;

3. დადგენილებით დამტკიცებული „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის აღრიცხვა-ანგარიშგების წესის” (დანართი №1) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. საჯარიმო ქვითრის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე საამისოდ უფლებამოსილი პირები

საჯარიმო ქვითრის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილნი არიან გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მოსამსახურეები (შემდგომში – საამისოდ უფლებამოსილი პირი).”;

4. დადგენილებით დამტკიცებული „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის აღრიცხვა-ანგარიშგების წესის” (დანართი №1) მე-3 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 43^1, 43^2, 46^5, 46^6, 51^3, 53^3, 55-ე, 55^2, 55^6, 77^1, 82^5, 103-ე, 103^1, 103^2, 119^1, 134^1, 135-ე, 146^1, 148-ე, 150-ე, 150^1, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 151^2, 152-ე, 152^2, 152^5-152^9 მუხლებით, 153^3 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^4, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 159-ე, 159^1, 166^2, 172^8, 172^9 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს ამ კოდექსის 290^6 მუხლის გათვალისწინებით განიხილავს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი;

2. საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 46^5, 46^6,51^3, 53^3, 55-ე, 77^1, 82^5, 103-ე, 103^1, 103^2,119^1, 134^1, 135-ე, 146^1, 148-ე, 150-ე, 150^1, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 151^2, 152^2, 153^4, 172^8, 172^9 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში სამართალდამრღვევის მიმართ დგება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი (დანართი №2).”

5. დადგენილებით დამტკიცებული “ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის აღრიცხვა-ანგარიშგების წესის” (დანართი №1) მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საამისოდ უფლებამოსილი პირი საჯარიმო ქვითარს, ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ავსებს საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 55^2, 55^6, 77^1, 103-ე, 103^1, 103^2, 134^1, 135-ე და 151^2 მუხლებით. აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ სამართალდამრღვევს არ აქვს პიროვნების დამადასტურებელი საბუთები და არ არიან მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ მიაწოდონ საჭირო ცნობები მის შესახებ, საჯარიმო ქვითრის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემვსებ საამისოდ უფლებამოსილ პირს, საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 243-ე მუხლის პროცედურების დაცვით, შეუძლია უზრუნველყოს

სამართალდამრღვევი პირის მიყვანა პოლიციაში სახელის, გვარისა და საცხოვრებელი მისამართის დადგენის მიზნით. აღნიშნული მონაცემების დადგენის შემდეგ საამისოდ უფლებამოსილი პირი ავსებს საჯარიმო ქვითარს ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს.“;

6. დადგენილებით დამტკიცებული “ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის აღრიცხვა-ანგარიშგების წესის” (დანართი №1) მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის 5.2. ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5.2. საჯარიმო ქვითარი ივსება ორ ეგზემპლარად. პირველი ეგზემპლარი (ორიგინალი) რჩება მის შემვსებ საამისოდ უფლებამოსილი პირთან (რომელიც შევსებიდან პირველივე სამუშაო დღეს ჰბარდება შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის საჯარო მოხელეს ან მოხელეებს), ხოლო მეორე გადაეცემა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევს.“;

7. დადგენილებით დამტკიცებული “ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის აღრიცხვა-ანგარიშგების წესის” (დანართი №1) მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის 5.4. ქვეპუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) I ნაწილს, გარდა მე-9 პუნქტისა, ავსებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;“;

8. დადგენილებით დამტკიცებული “ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის აღრიცხვა-ანგარიშგების წესის” (დანართი №1) მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის 6.9 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6.9. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენელი საამისოდ უფლებამოსილი პირის მონაცემი (სახელი, გვარი და ხელმოწერა);“;

9. დადგენილებით დამტკიცებული “ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის აღრიცხვა-ანგარიშგების წესის” (დანართი №1) მე-3 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. საჯარიმო ქვითარი ივსება ორ ეგზემპლარად. პირველი ეგზემპლარი (ორიგინალი) რჩება მის შემვსებ საამისოდ უფლებამოსილი პირთან (რომელიც შევსებიდან პირველივე სამუშაო დღეს ჰბარდება შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის საჯარო მოხელეს ან მოხელეებს), ხოლო მეორე გადაეცემა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევს.

8. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ივსება სამ ეგზემპლარად. პირველი ეგზემპლარი (ორიგინალი) ყველა დანართით რჩება მის შემვსებ საამისოდ უფლებამოსილი პირთან (რომელიც შევსებიდან პირველივე სამუშაო დღეს ჰბარდება შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის საჯარო მოხელეს ან მოხელეებს), მეორე ეგზემპლარი ყველა დანართით გადაეცემა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევს, რაზედაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში კეთდება სათანადო ჩანაწერი, ხოლო მესამე ეგზემპლარი იგზავნება სასამართლოში.“;

10. დადგენილებით დამტკიცებული “ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის აღრიცხვა-ანგარიშგების წესის” (დანართი №1) მე-3 მუხლის მე-10, მე-11 და მე-12 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. საჯარიმო ქვითარი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ივსება ლურჯი ან შავი ბურთულიანი კალმით. საჯარიმო ქვითარში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში ყველა ჩანაწერი კეთდება გარკვევით. დაუშვებელია გადახაზვა, გადაფხეკა, გადაშლა და ა.შ. საჯარიმო ქვითრის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის დაზიანების ან მასში არასწორი მონაცემების

შეტანის შემთხვევაში ივსება ახალი საჯარიმო ქვითარი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. ძველი გადაიხაზება ჯვარედინად, რომელსაც საჯარიმო ქვითრის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემვსები საამისოდ უფლებამოსილი პირი მოხსენებითი ბარათით, გაუქმების მიზეზების მითითებით, აბარებს საჯარიმო ქვითრის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გაცემაზე პასუხისმგებელ საჯარო მოხელეს ან მოხელეებს.

11. თუ ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი უარს ამბობს საჯარიმო ქვითრის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ხელმოწერაზე ან ჩაბარებაზე, ამის შესახებ საჯარიმო ქვითარში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი საჯარიმო ქვითრის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ. ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი უფლებამოსილია წარადგინოს საჯარიმო ქვითარზე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმზე დასართავად ახსნა-განმარტებები და შენიშვნები საჯარიმო ქვითრის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსთან დაკავშირებით. ასევე, ახსნას საჯარიმო ქვითარში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმში ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები.

12. ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევს გადაეცემა საჯარიმო ქვითრის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ეგზემპლარი, ხოლო თუ დამრღვევი უარს აცხადებს ასლის მიღებაზე, საამისოდ უფლებამოსილი პირი ამას აღნიშნავს საჯარიმო ქვითარში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმში, რის შემდეგაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დოკუმენტის ასლი ითვლება ჩაბარებულად.“;

11. დადგენილებით დამტკიცებული “ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის აღრიცხვა-ანგარიშგების წესის” (დანართი №1) მე-3 მუხლის მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„14. შესაბამისი სტრუქტურული ერთეული უფლებამოსილია საამისოდ უფლებამოსილი პირი აღჭურვოს შესაბამისი ელექტრონული (ვიდეო/აუდიო) მოწყობილობით, რომლის მეშვეობით საჯარიმო ქვითრის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემვსები დააფიქსირებს აღნიშნულ პროცესს, რის თაობაზეც წინასწარ აცნობებს სამართალდამრღვევს. ელექტრონული მოწყობილობით დაფიქსირებული ინფორმაცია (პერსონალური მონაცემები) დაცული უნდა იქნეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.“;

12. დადგენილებით დამტკიცებული “ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის აღრიცხვა-ანგარიშგების წესის” (დანართი №1) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საჯარიმო ქვითრის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ პირზე, საჯარიმო ქვითრის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გაცემა ხორციელდება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის პასუხისმგებელი საჯარო მოხელის ან მოხელეების მიერ.“.

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მიხეილ გედეხაური

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი